ეტიკეტი თოდორიას პირადი ფონდი

401

270

287 1 272

287 1 272

Опись

ОТДЕЛ РУКОПИСЕЙ
И УРАЛИКИ

ფახასანიძე თამარ 14

13.

ნაშრომი ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხებზე

ცნობილი პედაგოგისა და მეთოდისტის კ. გაგუასა და პროფ. მიხ. ზანდუკელის ქართული ლიტერატურის მეთოდიკის სახელმძღვანელოები რამდენიმე ათეული წლის წინ გამოქვეყნდა და მათ თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშობლიური ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლებაში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქართულმა საბჭოთა სკოლამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, სწავლებისა და განათლების დარგში. ყოველგვარი პირობაა შექმნილი, რომ საფუძვლიანად განზოგადდეს ის, რაც, კერძოდ, დღემდე შეიქმნა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში.

ახლახან ვამოვიდა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დოც. ა. თოფურიას ნაშრომი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა", წიგნი I (V–VII კლასები).

ეს წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, ზოგადი ნაწილი გათვალისწინებულია ქართული ლიტერატურის მეთოდიკის სრული კურსისა და ლიტერატურული კითხვისათვის. წიგნის მეორე ნაწილში მოთავსდება მეთოდიკის კურსის მომდევნო სამი ნაწილი: ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე, სასკოლო კურსის სწავლების მეთოდიკა VIII-X კლასებში, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა ქართულ ლიტერატურაში და მასწავლებელთა გეგმიანი მუშაობის საკითხები. ჩვენ საკუთარი სწორად მიგვაჩნია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მთლიანი კურსის ასეთი აგება. იგი, სხვა არსებულ მეთოდიკებთან შედარებით, უფრო პრაქტიკულია, მუშაობაში ადვილად გამოსაყენებელი და, ამდენად, დასრულებულ ხასიათს ატარებს.

მეთოდიკის პირველ, ზოგად თეორიულ ნაწილში დაყენებული პრობლემები თავის განვითარებას პოულობს წიგნის მეორე და მესამე ნაწილში, კერძოდ — ლიტერატურული კითხვის ისეთი საკითხების გარკვევისას, როგორიცაა შესავალი მეცადინეობა, ტექსტზე მუშაობა, ლიტერატურის თეორიის ცნებების გარკვევა, მოსწავლეთა წერითი და ზეპირმეტყველების განვითარების გზები.

წიგნის ზოგად ნაწილში გაშუქებულია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები. მასში განხილულია ის განსხვავება, რაც ქართულ სკოლებში მოსწავლეთა ლიტერატურულ განათლებასა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული განათლების სისტემას შორისაა. ამასთან დაკავშირებით გამახვილებულია ყურადღება რუსული ლიტერატურის სწავლების დიდ სახელმწიფოებრივ, სასწავლო-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი მოვლენების სწორად ახსნა ქართულ სკოლაში შეუძლებელია რუსული ლიტერატურის ისტორიის შესაბამის პერიოდთან, შესაბამის ეპოქასთან კავშირის გარეშე. წიგნის ამ ნაწილში გარკვეულია ქართული და რუსული ლიტერატურის სწავლების კოორდინაციისა და სხვა საკითხები.

ნაშრომში მოკლედ, მაგრამ კარგადაა დახასიათებული ქართული ლიტერატურის სწავლების თეორიული, მეთოდოლოგიური და პედაგოგიკური საფუძვლები, ქართული ლიტერატურის სწავლების შემეცნებით-აღმზრდელობითი, სასწავლო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მნიშვნელობა. წიგნში ვრცლადაა წარმოდგენილი ჩვენი პარტიის დადგენილებანი სკოლისა და იდეოლოგიის საკითხებზე, როგორც ლიტერატურის მეთოდიკის დასაყრდენი, დახასიათებულია ლიტერატურის მეთოდიკის კავშირი მონათესავე მეცნიერულ დისციპლინებთან და მისი მნიშვნელობა სწავლების პროცესში.

უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი მეთოდების (საუბარი, თხრობა, სასკოლო ლექცია და სხვ.) განხილვას, მათ ჩვენებას სხვადასხვა მაგალითებზე.

საგულისხმოა, რომ წიგნში ყველაზე უფრო სრულყოფილადაა გარკვეული ლიტერატურული კითხვის (V-VII კლასები) გაკვეთილების სპეციფიკური საკითხები. რევოლუციამდელ რუსეთში არსებულ ძირითად მეთოდიკურ მიმდინარეობათა (თ. ბუსლაევის, ვ. სტოიუნინის, ვ. ოსტროგორსკის, ლ. პოლივანოვის...) მემკვიდრეობის კრიტიკული გათვალისწინებისა და გამოყენების საფუძველზე აკ. თოფურიას განხილული აქვს ქართულ სკოლაში ლიტერატურული კითხვის მიზნების, ამოცანების, სისტემისა და ორგანიზაციის საკითხები.

წიგნს ამ უდავო ღირსებებთან ერთად თან ახლავს ნაკლოვანებანი. რაც მთავარია, მასში ნაკლებად გვხვდება მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელთა გამოცდილების საუკეთესო მაგალითები, ცალკეული ვაკვეთილების გეგმა-კონსპექტები, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ნიმუშები. მასში დანართის სახით (გვ. 355-357) მოყვანილია ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის მხოლოდ ორი ნიმუში და გაკვეთილის ანალიზის პრინციპები.

აკ. თოფურიას ამ ნაშრომის საბოლოო შეფასება და მისთვის პირუთვნელი მსჯავრის დადება მაინც მეთოდიკის კურსის მეორე ნაწილის გამოცემის შემდეგ შეიძლება.

პ. ხმალაძე,

ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

„სკოლა", 1957 N 2

[illegible] ცხოვრების გამოცდილება. თვით ცხოვრება, პრაქტიკა მოწმობს, რომ ასეთი სტუდენტები სწავლობენ უკეთ, უფრო მალე ეუფლებიან თეორიულ კურსს, მათი ცოდნა უფრო ღრმა და სრულფასოვანი ხდება, ხოლო მერე, უმაღლეს სასწავლებელთა დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტები წარმატებით ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენმა ახალგაზრდობამ ეს შეიგნო და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხალისით მიდის სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და, ორი წლის შემდეგ, შედის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ზოგჯერ წარმოებაში მუშაობას ათავსებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლასთან.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ იქნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი მოწინავე ახალგაზრდა. მათ სასახელოდ იშრომეს, კარგად გამოიჩინეს თავი პრაქტიკულ მუშაობაში, ხოლო ახლა წარმატებით სწავლობენ, ეუფლებიან ცოდნას.

მაგრამ ჩვენს ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ არიან ისეთი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ცხოვრებაში ირჩევენ მრუდე გზას, ისწრაფვიან იცხოვრონ იოლად და უდარდელად, ხოლო ზოგჯერ უპატიოსნო გზასაც კი ადგებიან. სხვადასხვა დაწესებულების ზოგიერთ ხელმძღვანელთა შორის არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ამაში.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის [illegible] ცენტრალურ კომიტეტთან [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...